აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №18

აბაშა, 2022 წლის 8 დეკემბერი

სარჩევი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ოქმი №18

აბაშა, 2022 წლის 8 დეკემბერი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. ლ. მელაძე

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ა. კვირკველია

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატის უფროსი: გ. ხურცილავა

ოქმი №18

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომისა

აბაშა, 2022 წლის 8 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ: გელა ხოშტარია, კონსტანტინე კუჭუხიძე, როინ კაჭარავა, დარეჯან ვადაჭკორია, პროკოფი ნიკურაძე, ტატიანა ხოშტარია, დავით ცანავა, დიმიტრი ვერულაშვილი, ბაქარ შელია, ზაზა ალასანია, მურთაზ ჯალაღონია, იაგო თოდუა, გია კუცია, გია მიგინეიშვილი, შოთა ჭანტურაია, დავით კაჭარავა, კოხტა მელია, მერაბ მელია, გელა ლაბარტყავა, ბაჩუკი ქვილითაია, კოკი ჩაჩავა და მეგული ჩოჩია.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი ალეკო კვირკველია, ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მუნიციპალური ქონებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი დ. თოფურია და ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი მ. ქვილითაია.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. ლ. მელაძე

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ა. კვირკველია

კენჭი ეყარა დღის წესრიგს. კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს აცნობა, რომ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოსულია წერილი აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე.

საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გ. კუციამ განაცხადა, რომ საკრებულოში 2022 წლის 7 დეკემბერს მიღებულ იქნა სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი დუგლაძის N5/68203 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის - აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ საქმისწარმოების შეწყვეტა და ამ მოტივით მოითხოვა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის - აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ დღის წესრიგიდან ამოღება.

კომისიის თავმჯდომარე გ. კუციას არგუმენტაციის მოსმენის შემდეგ კენჭი ეყარა დღის წესრიგიდან პირველი საკითხის - აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ამოღებას, რასაც

მხარი დაუჭირა საკრებულოს 22-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 50-ე მუხლის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

სხდომაზე მომხსენებელმა მ. ქვილითაიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვა გ. ხოშტარიამ.

საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გ. კუციამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 22-მა წევრმა.
წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №65 (თან ერთვის)

3

მოისმინეს:
აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ა. კვირკველია

მომხსენებელმა ა. კვირკველიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
აზრი გამოთქვა გ. ხოშტარიამ.
საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კ. კუჭუხიძემ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 22-მა წევრმა.
წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №66 (თან ერთვის)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია